აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 01-04/8 „31" 01 2022 წელი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და სსიპ-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის 2021 წლის 24 დეკემბერს გაფორმებული N 198 ხელშეკრულების საფუძველზე,
ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს კონკურსი საუნივერსიტეტო სამეცნიერო საგრანტო ოფისის კოორდინატორის შესარჩევად (1 ვაკანსია).
2. აპლიკანტი:

   ა) უნდა ფლობდეს დოქტორის ან დოქტორთან გათანაბრებულ აკადემიურ ხარისხს ან იყოს დოქტორანტურის სტუდენტი;

   ბ) მიღებული უნდა ჰქონდეს მონაწილეობა სამეცნიერო საგრანტო პროექტის კონკურსებში (ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე), ან მოპოვებული ჰქონდეს სამეცნიერო საგრანტო პროექტი, ან გაწეული ჰქონდეს დახმარება სხვისთვის სამეცნიერო საგრანტო პროექტის მოპოვებაში;

   გ) უნდა ფლობდეს უცხოურ ენებს (უპირატესობა მიენიჭება ინგლისური ენის მცოდნე აპლიკანტს);

   დ) სარეკომენდაციო და სამოტივაციო წერილების წარმოდგენა;

   ე) საოფისე პროგრამების ცოდნა - Microsoft Office Word; Microsoft Office Excel; Microsoft Office PowerPoint;

3. აპლიკანტს უნდა ჰქონდეს:

ა) ინფორმაციის დამუშავების და ანალიზის უნარი;
ბ) დაგეგმვის და ორგანიზების უნარი;
გ) ეფექტიანი კომუნიკაციისა და მოლაპარაკებების წარმართვის უნარი;
დ) კომპლექსური აზროვნების უნარი;
ე) ამოცანების დასახვისა და გადაჭრის გზების შემუშავების უნარი;
ვ) ტრენინგებისა და შეხვედრების წარმართვის უნარი;
ზ) გუნდური მუშაობის უნარი;

4. საუნივერსიტეტო სამეცნიერო საგრანტო ოფისის კოორდინატორის პოზიციაზე დასაქმებულ პირს მოეთხოვება შემდეგი ფუნქციების შესრულება:

ა) ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამის "ჰორიზონტი ევროპა" საგრანტო კონკურსებთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავება, უნივერსიტეტის მკვლევარებისთვის საინტერესო კონკურსების და სხვა აქტივობების თაობაზე ინფორმაციის მიწოდება;

ბ) ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამის "ჰორიზონტი ევროპა" საგრანტო კონკურსებისთვის პროექტების მომზადებისთვის საჭირო რეკომენდაციების შემუშავება, პროექტის მომზადებისა და განხორციელების პროცესში პარტნიორების მოძიების და სხვა ტექნიკურ და ადმინისტრაციულ საკითხებთან დაკავშირებით კონსულტაციის გაწევა და წამოჭრილი პრობლემების გადაჭრაში დახმარება.

გ) ეროვნულ ოფისთან „ჰორიზონტი ევროპა" და ეროვნული საკონტაქტო პირების ქსელთან თანამშრომლობა და მათთან ერთად უნივერსიტეტის თანამშრომლებისთვის ტრენინგების მომზადება და ჩატარება.

დ) საქართველოში მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს/სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებს შორის ინსტიტუციური თანამშრომლობის მექანიზმების განვითარებაში მონაწილეობის მიღება.

5. კონკურსში მონაწილეობის მსურველ აპლიკანტს მოეთხოვება შემდეგი საბუთების წარმოდგენა:

ა) განცხადება უნივერსიტეტის რექტორის სახელზე (იხ. განცხადება)
ბ) პირადობის მოწმობის ან პასპორტის სურათიანი გვერდის ასლი;
გ) CV ქართულ ენაზე (დოკუმენტის PDF ვერსია)
გ) განათლების, კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი
დ) აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი ან ცნობა დოქტორანტურის სტუდენტის სტატუსის შესახებ;
ე) სამოტივაციო წერილი
ვ) სარეკომენდაციო წერილი
ზ) ცნობა ნასამართლობის შესახებ;
თ) პროფესიული გამოცდილების ამსახველი დოკუმენტი;

6. კონკურსში მონაწილეობის მსურველი აპლიკანტის შერჩევა განხორციელდება სააპლიკაციო პაკეტის განხილვის საფუძველზე საკონკურსო კომისიის მიერ (დანართი 1). საბუთების არასრულად გამოგზავნის შემთხვევაში, საკონკურსო კომისიის მიერ აპლიკანტის საბუთები არ განიხილება. აპლიკანტი, ვის მიერ წარმოდგენილი საბუთებიც დააკმაყოფილებს საკონკურსო მოთხოვნებს, წინასწარი შეტყობინების საფუძველზე შესარჩევ კომისიასთან გაივლის გასაუბრებას დისტანციურ რეჟიმში Zoom-ის პლატფორმის საშუალებით (კონკრეტული თარიღი, დრო და Zoom-ის პლატფორმის მისამართი ეცნობებათ წინასწარ). გასაუბრების შედეგები აპლიკანტს ეცნობება პირადად;

7. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში საუნივერსიტეტო სამეცნიერო საგრანტო ოფისის კოორდინატორის შესარჩევად კონკურსის გამოცხადების შესახებ მიზნით შეიქმნას კომისია და დამტკიცდეს კომისიის მუშაობის წესი (დანართი 2);

8. ბრძანებით მოთხოვნილი დოკუმენტები აპლიკანტების მიერ გადმოგზავნილი უნდა იქნეს 2022 წლის 1 თებერვლიდან 2022 წლის 7 თებერვლის ჩათვლით 18:00 საათამდე ელექტრონულ მისამართზე: atsu@atsu.edu.ge სათაურის ველში უნდა მიეთითოს საგრანტო ოფისის კოორდინატორი.

9. ბრძანება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის 2021 წლის 24 დეკემბერს გაფორმებული N198 ხელშეკრულების ფარგლებში საუნივერსიტეტო სამეცნიერო საგრანტო ოფისის კოორდინატორის შესარჩევად კონკურსის გამოცხადების შესახებ ინფორმაცია განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე - www.atsu.edu.ge-
10. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე

დანართი 1. საკონკურსო კომისია

1. შალვა კირთაძე - უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე - კომისიის თავმჯდომარე
2. დავით გეგეჭკორი - საგარეო ურთიერთობათა და განვითარების სამსახურის უფროსი - კომისიის წევრი;
3. თეა კორძაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უსფროსი - კომისიის წევრი;
4. თამთა კობახიძე - კვლევის მხარდაჭერისა და განვითარების ცენტრის უფროსი - კომისიის წევრი;
5. მაია ოკუჯავა - პროგრამა ,,Horizon Europe" ეროვნული კოორდინატორი საქართველოში, ეროვნული ოფისის ,,Horizon Europe" ხელმძღვანელი - კომისიის წევრი;
6. ნუნუ მიცკევიჩი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე,
7. ზაზა მარუაშვილი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების დეპარტამენტის უფროსი მოადგილე - კომისიის წევრი

დანართი #2

საკონკურსო კომისიის მუშაობის წესი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში საუნივერსიტეტო სამეცნიერო საგრანტო ოფისის კოორდინატორის შესარჩევად კონკურსის ჩატარების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულება

წესის მიზანია სსიპ-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში საუნივერსიტეტო სამეცნიერო საგრანტო ოფისის კოორდინატორის კანდიდატის შერჩევა.

მუხლი 2. საკონკურსო კომისიის ფუნქციები: საკონკურსო კომისიის ფუნქციებში შედის:

ა) საკონკურსო წესით სსიპ-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში საუნივერსიტეტო სამეცნიერო საგრანტო ოფისის კოორდინატორის კანდიდატის შერჩევა.

ბ) კომისიას მუშაობისას საჭიროების შემთხვევაში კომპეტენტური აზრის დასაფიქსირებლად შესაბამისი დარგის ექსპერტი/ექსპერტების მოწვევა.

მუხლი 3. კონკურსანტის შეფასების წესი.

1. კომისია კონკურსანტის დაუსწრებლად აფასებს მის მონაცემთა შესაბამისობას საუნივერსიტეტო სამეცნიერო საგრანტო ოფისის კოორდინატორის საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან. აპლიკანტები, ვის მიერ წარმოდგენილი საბუთებიც დააკმაყოფილებს საკონკურსო მოთხოვნებს, წინასწარი შეტყობინების საფუძველზე შესარჩევ კომისიასთან გაივლიან გასაუბრებას დისტანციურ რეჟიმში Zoom-ის პლატფორმის საშუალებით.

2. აპლიკანტის მიერ გასაუბრებაზე გამოუცხადებლობა ან უარის თქმა წარმოადგენს აპლიკანტის კონკურსიდან მოხსნის საფუძველს.

3. საკონკურსო პროცედურების დასრულების შემდგომ საკონკურსო კომისია კონკურსის შედეგებს ურთიერთშეაჯერებს, აფასებს და იღებს გადაწყვეტილებას გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ. გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს წარმოდგენილ საკონკურსო დოკუმენტაციის შეფასებას. რაც აისახება საკონკურსო კომისიის ოქმში (გასაუბრების ჩატარების შემთხვევაში, შეფასება ასევე უნდა ემყარებოდეს გასაუბრების შედეგებს).

4. შერჩევის ეტაპების განხორციელების შემდგომ ტარდება კენჭისყრა და საუნივერსიტეტო სამეცნიერო საგრანტო ოფისის კოორდინატორის პოზიციაზე შერჩეულად ითვლება ის აპლიკანტი, რომელიც მიიღებს სხვა კანდიდატებზე მეტ ხმას.

ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში, გადამწყვეტია კომისიის/სხდომის თავმჯდომარის ხმა.

5. კომისია მიღებულ გადაწყვეტილებას აფორმებს ოქმის სახით, რომლის საფუძველზე შერჩეულ კანდიდატებთან გაფორმდება შრომითი ხელშეკრულება;

მუხლი 4.

დავების გადაწყვეტა კონკურსის შედეგებთან დაკავშირებული დავები წყდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

განცხადება

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის

რექტორს

მოქალაქე _____

(პირადი № _____

მისამართი: _____,

ტელ: _____)

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გთხოვთ, დამრთონ ნება მონაწილეობა მივიღო აკაკი წერეთლის უნივერსიტეტის მიერ გამოცხადებულ საუნივერსიტეტო საგრანტო კოორდინატორის პოზიციაზე

ხელმოწერა: ----------

/თარიღი/